

# აფხაზური და ქართული დისკურსი 1992-1993 წლების

## შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ

მოწმეების ინტერვიუების ნარატიული ანალიზი

ელენა ნათენაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, სრული პროფესორი.

თანახელმძღვანელი: ოლივერ რაისნერი, სრული პროფესორი.

მარიამ დალაქიშვილი, სოციოლოგიის დოქტორანტი.

პროგრამა: სოციოლოგია



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენა ნათენაძე

26.06.2017

## აბსტრაქტი:

საზოგადოება კვლავ-წარმოქმნადი პროდუქტია, რომელიც ქმნის და გარდაქმნის საკუთარ თავს არსებული კოლექტიური ცნობიერების ჩარჩოს ფარგლებში. კოლექტიური ჩარჩოები სოციალური მატრიცების მსგავსად ოპერირებენ და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ წარსულის შესახებ წარმოდგენების შექმნაზე. იმისათვის, რომ საზოგადოებამ კვლავ-წარმოქმნას საკუთარი თავი, მას სჭირდება გარკვეული ტიპის ორიენტირი. წარმოსახვითი ერთობის, ღირებულებათა სისტემის ფორმირების, მისი შენარჩუნებისა და გადაცემისათვის ერთ-ერთი ფუნდამენტური საშუალება დისკურსების წარმოებაა. დისკურსი სპეციფიკური და ჩარჩო-ნარატივების ზოგადი, გენერალიზებული ერთობლიობაა, რომელიც ეფუძნება საზოგადოების ძირითად ღირებულებით ორიენტირებსა და იმ წარმოდგენებს, რომელიც საზოგადოებას თავის თავზე აქვს. ნიშანდობლივია, რომ საზოგადოება სწორედ ამ წარმოდგენების მიხედვით ახდენს როგორც საკუთარი თავის, ასევე მის გარშემო არსებული საზოგადოებებისა თუ მოვლენების შეფასებას.

კვლევის საგანი ქართული და აფხაზური დისკურსებია, რომელსაც კონფლიქტის ორ მხარეს მყოფი საზოგადოება 1992-1993 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ აწარმოებს. კვლევა ეფუძნება ქართულ-აფხაზური შეიარაღებული დაპირისპირების უშუალო მოწმეების და კონფლიქტში მონაწილეების ნარატიულ (ბიოგრაფიულ) ინტერვიუების ანალიზს. ქართული და აფხაზური ნარატივების ანალიზი მნიშვნელოვანია რამდენადაც იგი 1) წარსულის აღდგენის საშუალებას იძლევა, და 2) აშუალებს კოლექტიურ წარმოდგენებს მომავლის შესახებ და აღწერს საზოგადოების ღირებულებათა სისტემის სტატიკურობასა თუ ცვალებადობას დროით კონტინუუმში. ნაციონალური ნარატივი წარმოადგენს ნაციონალური იდენტობის უმთავრეს საყრდენს და უზრუნველყოფს ჯგუფს ფუნდამენტური იდეებით მისი წარსულისა და როლის შესახებ მსოფლიოში.

ნარატივები დიდ გავლენას ახდენს ინდივიდთა აღქმებისა და დამოკიდებულებების ფორმირებაზე, ასევე იმ რეფლექსიურ პროცესებზე, რომელიც ინდივიდის კოგნიტურ-ემოციურ სისტემაზე მოქმედებს და ვლინდება ადამიანთა მონათხრობში.

კვლევაში წარმოდგენილია 1992-1993 წლების ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ არსებული მეინსტრიმული (ყველაზე გავრცელებული) და შესაბამისად გავლენის მქონე, ცენტრალურ ნარატიული მოდელები. ასევე გადმოცემულია მისი თანმხლები ნარატიული მოდელები.

კვლევა შეისწავლის აფხაზური და ქართული მხარეების ნარატიულ-ბიოგრაფიული ინტერვიუების ტექსტურ რეპრეზენტაციებს ინტერვიუების ტრანსკრიპტების სახით. ნარატიული ანალიზის მეთოდის გამოყენება საშუალებას იძლევა განისაზღვროს თუ რა დისკურსები არსებობს როგორც აფხაზურ, ასევე ქართულ საზოგადოებაში კონფლიქტის შესახებ.

ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე იკვეთება, ნარატივის სტრუქტურული ელემენტები, (ნარატივის ოთხკომპონენტია სტრუქტურა) თუ რა წამყვანი და თანმხლები ნარატივები არსებობს 1992-1993 წლების ქართულ აფხაზური შეიარაღებული კონფლიქტის შესახებ ქართულ და აფხაზურ წარმოსახვით ერთობებში, როგორია შერჩეული ტრავმის რეპრეზენტაცია აფხაზურ ნარატივში და რა მნიშვნელობა ენიჭება „მსხვერპლის“ ნარატივის წარმოებას ჯგუფური იდენტობის შექმნაში.

**საკვანძო სიტყვები:** ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, ნარატივის მოდელი, ნაციონალური ნარატივი, შერჩეული ტრავმა, მსხვერპლის ნარატივი, მეხსიერება, ნარატიულ-ბიოგრაფიული ინტერვიუ, დისკურსი.

**Abstract:** Society is a self-producing entity, which creates and recreates itself in frames of existing collective consciousness. Collective frames are operating like social matrices and influence importantly the formation of images about the past. In order to recreate itself the society needs a special point of reference. The production of discourses is the fundamental way how to preserve mnemonic communities and transmit means for value systems' formation. Discourses represent generalized sum representing specific and frame-narratives, which is based on the prior guiding values and those beliefs and ideas the society has about itself. It is noteworthy to mention that society assesses itself, as well as other societies and events according to those beliefs and ideas.

The subject of study is Georgian and Abkhazian discourses these two conflict-torn societies have about 1992-1993 years armed conflict. The research is based on the analysis of biographical-narrative interviews given by the witnesses of the war and directly involved persons in the combat. The analysis of the Georgian and Abkhaz narratives is paramount especially for two reasons: 1) this gives the possibility for reconstruction of the past and 2) shapes collective imaginations about the future and describes the degree of invariability or variability of societal value system through the time continuum. National narratives represent fundament of national identity and provide the group with the fundamental ideas about its past and its role and mission in the world.

Narratives highly influence the formation of interpretative and attitudinal mindset of the individuals. Also, they affect reflective processes which by their side, influence individual cognitive-emotional system and is reflected in the narrations.

The research demonstrates the mainstream, therefore the most influential, central narrative models about 1992-1993 Georgian-Abkhaz conflict. Besides, study underlines the implications of side-narrative models which are the branches produced on the ground of central narrative templates.

Research examines Georgian and Abkhaz biographical narrative interviews, particularly, the textual representations of these interviews, that is interview transcripts. Methodological approach of narrative analysis opens the window of opportunity for identifying and defining what sort of discourses exist in Abkhaz, as well as in Georgian societies about the conflict.

Based on interview analyses, study demonstrates narrative constructing elements (the four-component structure of narratives), the leading and produced narratives about the 1992-1993 Georgian-Abkhaz armed conflict reflected in the Georgian and Abkhaz mnemonic communities, what is the representation of chosen trauma in Abkhazian narratives and what is the importance given to the narrations about “victimhood” in the creation of group identity.

**Key words:** Georgian-Abkhaz conflict, narrative template, national narrative, chosen trauma, victim narrative, memory, biographical-narrative interview, discourse.

## მადლობა

ბერგჰოფის ფონდის კავკასიის პროგრამის დირექტორს, დოქტორ ოლივერ ვოლეს, ქართულ და აფხაზურ ნარატიულ (ბიოგრაფიულ) ინტერვიუებზე წვდომის ნებართვისთვის.

პროფესორ ემზარ ჯგერენაიას თემის ხელმძღვანელობისთვის და კვლევის მიმდინარეობისას აქტიური დახმარებისათვის.

პროფესორ ოლივერ რაისნერს კრიტიკული შენიშვნებისა და მითითებებისათვის.

სოციოლოგიის დოქტორანტ მარიამ დალაქიშვილს შენიშვნებისთვის.